1406

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №32060101/04/02-1

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შპს" რომპეტროლ საქართველო"-ს შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ **№32060101/04/02** ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

(CON160000059)

ქ.თბილისი 28 სექტემბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს შპს "რომპეტროლ საქართველო"(შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაინოვის სახით, მხარეთა შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის დავით ჭიჭინაძეს 2016 წლის 27 სექტემბრის N1159857 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა" შპს „რომპეტროლ საქართველოს" შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01; ხელშეკრულება, რომელის საგანია ნავთობ პროდუქციის (ბენზინის) შესყიდვა. საწვავის სპეციფიურობიდან გამომდინარე მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული ცვალებად ფასის დამოკიდებულების გამო (გასულ თვეებში საწვავის ფასის რეგულარულმა ზრდამ) განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწვავის მოცულობებისათვის განკუთვნილი თანხობრივი რესურსის ამოწურვა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწვავის საორიენტაციო მოცულობა შეადგენდა 15000 ლიტრს, ხოლო საერთო საორიენტაციო ღირებულება - 21450 ლარს (ერთეულის ფასი 1,43 ლარი).

შესაბამისად, სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის, საჭიროა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საორიენტაციო ღირებულებების ზრდა, კერძოდ მიმდინარე თვეს დაფიქსირებული ერთეულის ფასებისა და აუთვისებელი საწვავის მოცულობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია: 2016 წლის 22 დეკემბრის N 32060101/04/02 ხელშეკრულების (დიზელი) ღირებულება გაიზარდოს 5500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარით,

1 .შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/02 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდერებული ტენდერის № CON160000059) და ხელშეკრულების 3.1 მუხლით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 21 450 (ოცდაერთი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარის ნაცვლად განისაზღვროს 26 950 (ასორმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარით.

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელად.

3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 22 სექტემბრიდან.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/02 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს"	შპს "რომპეტროლ საქართველოს"
დირექტორი:ზვიად როსტომაშვილი	დირექტორი: ზამანბეკ მირზაინოვი
(ხელმოწერა, ბეჭედი)	(ხელმოწერა, ბეჭედი)